B. S. GROUP

შპს "კომპანია ბლექ სი გრუპი"

LLC "COMPANY BLACK SEA GROUP"

თარიღი:19.08.2019 BSG-OUT-MNG-COR-0802

ადრესატი:საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

მოგახსენებთ, რომ საქართველოს მთავრობის ინიციატივით და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარეობს შიდა სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტის (SLRP-III) განხორციელება. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილით ამ ეტაპზე უკვე მიმდინარეობს „შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წალენჯიხა-ჯვარი-ჯვარზენის საავტომობილო გზის კმ8 - კმ12.5 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების" განხორციელება. გზის რეაბილიტაციის და გაუმჯობესების შედეგად გაუმჯობესდება სატრანსპორტო ქსელი ქვეყნაში, საგზაო კომუნიკაცია და გზის საიმედოობა, გაზრდის ადგილობრივი მოსახლეობის მობილურობას, ხელს შეუწყობს ადგილობრივი წარმოების განვითარება, გააუმჯობესებს მგზავრთა გადაყვანის პირობებს, ხელს შეუწყობს ამ ტერიტორიაზე ინვესტიციების გაზრდას, ტურიზმის განვითარებას და ა.შ.

2019 წლის 19 მაისს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ქვემდებარეობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და შპს „კომპანია ბლექ სი გრუპს" შორის გაფორმებული ხელშეკრულება N SLRPIII/CW/NCB-28 თანახმად, პროექტს განახორციელებს შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი".

სარეაბილიტაციო სამუშაოების შეუფერხებლად, ხარისხიანად და მოკლე ვადებში განხორციელების მიზნით საჭიროა ასფალტის ქარხნის მოწყობა მშენებარე გზის სიახლოვეს, რაც საგრძნობლად დააჩქარებს სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას და ეფექტურობას. აღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის საჭიროა, მოთხოვნილი სტანდარტის/ხარისხის და პროექტისათვის საჭირო რაოდენობის(35000 ტ) ასფალტის მცირე დროში გამოშვება, რათა მეტეოროლოგიური პირობების გაუარესებამ(ზამთრის დადგომა) ხელი არ შეუშალოს პროექტის დროულად დასრულებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი" გეგმავს პროექტის განხორციელების ადგილის სიახლოვეს, კერძოდ ქ.ხობის მიმდებარე ტერიტორიაზე მცირე დროით (3 თვით), მოახდინის ასფალტის მწარმოებელი დანადგარის(MBA 3000/260 მარკის ასფალტის ქარხანა (მწარმოებელი ქვეყანა - გერმანია, საწარმო „BENINGHOVEN"), მობილური დანადგარის შეტანა.

№ 11906
19.08.2019
2/5 ფ.

საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 71; ტელ.: +995 322 207 474/75 ფაქსი: +995 322 207420
71 Vazha-Pshavela Ave., 0186 Tbilisi, Georgia; Tel,: +995 322 207 474/75 Fax: +995 322 207420
info@bsg.com.ge; www.bsg.com.ge

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი''-ს II დანართის 5.3 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი N1 – „დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები;

პატივისცემით,

ამირან მამუჭაძე

შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის" დირექტორი

19.08.2019

BSG-OUT-MNG-COR-0802